№ 269
სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

რედაქცია:

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,

ბენეფისი ელ. ა. ჩერქეზიშვილისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## ერთი შემთხვევა

სცენები ჩვენის ცხოვრებიდან 3 მოქმ. თხზ. გ. დ. ქურულისა.

II

## სამოცის წლის არშიყი

ხუმრობა-ვოდევილი ერთ-მოქმედებად თხზ. ელ. ჩერქეზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

შაბათს, 18 დეკემბერს,

## „ტფილისის სობრანიე“-ში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასწავლებელთა გასამდიდრებლად

კნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა გამართავს **სამუსიკო-სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს.**

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ძ. ფ. გურამიშვილისა, ვ. მ. ამირაჯიბი, ქ-ნნი ა. პ. მესხი და ბ-ნნი მ. ვ. სერბულოვი, ა. დ. ბუში, ნ. დ. კოვალენსკი, თავ. ი. ა. ბარათაშვილი და კ. ს. მესხი.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კნ. ჭავჭავაძისაგან, ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21, და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, სათავად აზნაურო ქარვასლაში. (უ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—60)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**



## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა ურალის მე-112 ქვეითა რაზმის პორუჩიკი ნაცვლიშვილი თემირხანშურის მე-254 სათადარიგო ბატალიონში.

ებოძა როტმისტრობა შტაბს-როტმისტრს კაზიკუმუხის ოლქის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ფოცხვერაშვილს.

ხელმწიფე იმპერატორისაგან ებოძათ: ბრილიანტის ნიშნები წმ. ალ. ნეველის ორდენისა, კავალერიის გენერალს თავ. ამილახვარს; წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა—კავკასიის კორპუსის არტილერიის უფროსს თავ. გ. ხიმშიაშვილს; წმ. სტანისლავის პირველ ხარისხისა—გენერალს თავ. ბ. ჩოლოყაშვილს; წმ. ანნას მეორე ხარისხისა—კამერ-იუნკერს თავ. პ. გრუზინსკის; წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა—სვანეთის ბოქაულს სარ. დალაქიშვილს; ნუხის მაზრის ბოქაულს მიხ. ქუთათელაძეს, წიფის ბოქაულს ივ. ღოღობერიძეს, ართვინის ოლქის მკურნალს—ლეონტი გოცირიძეს, შორაპნის მომრიგებელ შუამავალს თავ. ლევ. დადეშქელიანს და ქვიშხეთის ბოქაულს ნიკ. ფურცელაძეს; პირად საპატიო მოქალაქის წოდება—ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკომერციო სამსახურის კანტორის მოანგარიშეს ივ. კვარაცხელიას; წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი—ტფილისის ინჟინერთა დისტანციის უფროსის თანაშემწეს გენადი

## ფელეტონი

### ქუნჩუკის ნახტომი

(ჩერქეზთა წარსულ ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

II

ჯირითით რამდენისამე დღის შემდეგ გავარდა ხმა, რომ ჩერქეზების მოსისხლე მტერი — შეესივა საჩერქეზოსაო. ეს ხმა, როგორც მეხის გრგვინვა, მოედო ჩერქეზების სოფლებს. საზღვრის ახლო-მახლო სოფლების ჩერქეზები ანებებდნენ თავს თავიანთ სახლ-კარს და გარბოდნენ უფრო უშიშარ ალაგებში. რაც უფრო საჭირო იყო, თან მიჰქონდათ და დანარჩენს ცეცხლს უკიდებდნენ, რომ მტრის ხელში არ ჩაეგდოთ. ასე ჩადიოდნენ ჩერქეზები ყოველთვის, როდესაც მტერი შეაწუხებდა. სახლ-კარის დაკარგვით ბევრს არას ნაღვლობდნენ ჩერქეზები; მათი ყველაფრით უხვად შემკული მდიდარი ბუნება ყველგან აძლევდა მშვენიერ საცხოვრებელ ალაგს. ნოყიერი მიწა, გაშლილი საძოვარი, ხეტყე, რომელიც აძლევდა უხვ მასალას ფიცრულ სახლებისათვის,—ეს ყველა ხელს უწყობდა ჩერქეზს, რომ გაუჭირებლად ახლად დასახლებულიყო სადმე, უფრო უშიშარს ალაგას.

ვერ მოასწრო აყრა ერთმა სოფელმა. მოულოდნელად თავს დაადგა მტერი. სოფლის წინ, დაცემულ ველზედ დაჰხვდნენ ორიოდ-სამიოდე სოფლის ჩერქეზები მტერს გულდაგულ, რომ მოკლე ხანს მაინც შეეჩერებინათ ვიდრე ქომაგი მოუვიდოდათ.

თავგანწირულად იბრძოდნენ ჩერქეზები, სიკვდილით უთმობდნენ თითო სოფლისაკენ წამდგარ მტრის ნაბიჯს, მაგრამ მტრის სიმრავლის წინ უქმდებოდა მათი ვაჟკაცობა! მტერი წინ და წინ იწევდა და შეუბრალებლად ჰკაფავდა ერთ მუჭა ჩერქეზებს, რომელნიც თავიანთს საყვარელს მიწა-წყალსა, ცოლ-შვილსა და ღარიბ სახლ-კარს იცავდნენ.

აჰა, ამ განწირულ დროს ჩერქეზებს მოესმათ შორიდგან მშობლიურის სიმღერის ხმა.

გავარდა ხმა მტრის გადმოსვლისა თუ არა, აქეთ იქიდგან იწყო დენა ჩერქეზების მხედრობამ, რომ ან დაეცვათ სამშობლო მიწა, ან მის მკერდზედ სახელოვანი სიკვდილი მოეპოვებინათ. რა გაიგეს, რომ სოფელს შეჰსეოდა მტერი, იქითკენ მიაშურეს ჩერქეზებმა და, მიუახლოვდნენ ბრძოლის ველს თუ არა, ჩვეულებისამებრ დასძახეს გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი, სამხედრო სიმღერა, რომ მით უფრო თამამად და უშიშრად მიჰგებებოდნენ სიკვდილს. აი ეს მათი სიმღერის ხმა იყო ის ხმა, რომელიც მოესმა ბრძოლის ველზედ იმ მუჭა თავგანწირულ ჩერქეზობას...

დაინახეს ჩერქეზებმა მაღლობიდგან ბრძოლის ველი, მოკენჭილი თანამოძმეების გვამებით, დაინახეს მტერი და შურის ძიებით აღვსილნი, როგორც მეხნი და მედგარნი, ჩაეშვნენ ბრძოლაში და ეკვეთნენ მტერს. არ შედრკა ომებში გაწვრთნილი და მის ქარცეცხლში გამოვლილი მტრის ჯარიც. შეიქმნა სასტიკი ჩართული ბრძოლა. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა. ტყვიის ზუზუნი, ცხენების ჭიხვინ-ხიხვინი, ტორების ცემა, მებრძოლის კიჟინი, წყევა-მუქარა უერთდებოდა სისხლის ჩხრიალს და დაჭრილების კვნესა-გმინვას... აშიშვლებული სისხლიანი ხმლები ელავდა მზის სხივებზედ და სპობდა სიცოცხლეს. მშვენიერის ყვავილითა და მწვანე ბალახით მობიბინებული ველი სისხლისაგან წითლად შეიღება, მოიკენჭა დახოცილ ჩერქეზებით. როგორც ნიაღვრისაგან წალეკილი, ეყარა მათი გვამები ზოგისა თავ მოგდებული, ზოგისა შუაზედ გადაჩეხილი. ზოგ-ზოგგან ცალკ-ცალკე თავი, ფეხი, მკლავი არეულიყო ერთმანეთში და ზოგგან დაჩეხილ მკვდრების გროვა დამდგარიყო. აი ორი მოსისხლე მტერი ჰყრიან მკვდრები, ერთმანეთს ხელჩავლებულები. ეტყობათ ცხენ და ცხენ უტაცნიათ გაშმაგებულებს ერთი-ერთმანერთისათვის ხელები, ჩამოცვივნულან და მიწაზედაც-კი უკანასკნელ სიცოცხლის წუთამდე უბრძოლიათ. ზიზღისა, სიძულილის და წყევა-მუქარის ბეჭედი სიკვდილის შემდეგაც-კი შერჩენიათ სახეზედ!.. თანამოძმეების გვამების დანახვაზედ ცოცხლებს უფრო ცეცხლი ედებოდათ, უფრო ივსებოდნენ შურის ძიებით, უფრო გაშმაგებულნი ეცემოდნენ ერთმანეთს...

სად იყო ამ დროს ქუნჩუკი? რატომ არა ჰხედავენ მას მოწინავედ თანა მოძმენი? რატომ არ ელავს მისი ბასრი ხმალი გიაურების თავზედ?—ქუნჩუკმა გვიან გაიგო მტრის შემოსევა. მთებში დანავარდობდა სანადიროდ და, როდესაც შინ მივიდა და უთხრეს მტრის შემოსევა, მაშინვე რამდენისამე კაცით მიაშურა ბრძოლის ველისაკენ. მიაჰქენებდა ქუნჩუკი ცხენს. მისი მკვირცხლი და მუხლ-მაგარი ტაიჭი არ არჩევდა არც ღრეს, არც კლდეს და არც უკუღმართობას.

— გაუმაძღარო მტერო, ჰბუტბუტებდა გზა და გზა ქუნჩუკი,— რას გვერჩით, რა გინდათ ჩვენგან?!. ნუ თუ გშურთ ეს ჩვენი პატარა მიწა-წყალი, კლდე-ღრეანი მთეი... ნუ თუ გშურთ ჩვენი თავისუფლება, რომელიც სულზედ უტკბესია ჩერქეზისათვის და რომელსაც, ვიდრე სული გვიდგა და მკლავი თავისუფალი გვაქვს, არავის დავანებებთ... ან იქნება გშურთ ჩვენი ღარიბი ცხოვრება? —არა... ბევრი გაქვთ ყველაფერი, მაგრამ მაინც თქვენ გაუმაძღარ გულს ვერა გააძღებს-რა! მაშ, დეე იღვაროს სისხლი, ვწიოთ ჭაპანი და სადაც გაწყდება, გაწყდეს. თქვენ ბევრნი ხართ, მაგითი გაქვთ იმედი. მიაღწევთ საწადელს, მაგრამ ძვირად-კი დაგიჯდებათ ჩვენი თავისუფლება, მამა-პაპის ძვლებით მოკენჭილი მიწა-წყალი...

უცბათ მოესმა მას ბრძოლის კიჟინი. როგორც გაღვიძებულმა, აიწია დაკიდული თავი და გაიხედა. თვალ-წინ გადაეშალა ბრძოლის ვე-

*) იხ. „ივერია“ № 264.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარხნიშვილს; წმ. სტანისლავას მეორე ხარისხისა შტაბ აფიცერს ნიკოლ. ბარათაშვილს; წმ. ვლადიმერისა მესამე ხარისხისა გუნიბის ოლქის უფროსს სოლომონ ჯავრიშვილს; წმ. სტანისლავისა პირველ ხარისხისა—კავკასიის ყაზახთა მეორე დივიზიის უფროსს თავად ივ. ჯამბაკურიან-ორბელიანს; სტანისლავისა მესამე ხარისხის—ართვინის ნაწილის სამმართველოს მწერალს ანდრია ქადიეიშვილს; ფოთის მე-257 სათადარიგო რაზმის უმცროს მკურნალს კონსტ. მიქაბერიძეს; ბელიკლიუჩის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს ალექსანდრე თაყაიშვილს; სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს იაგორ ჟღენტს; ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თავ-მდგმურს—კონსტანტინე ითრაიშვილს.

# ახალი ამბავი

*** საქართველოს ექსარხოსმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა ფლავიანემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავარმართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლების შემწეობა სახელმწიფო საერო თანხიდგან განსაზღვრულ იქმნას იმ შემწეობის რაოდენობის მიხედვით, რომელიც იმავე თანხიდგან საერო განათლების სამინისტროს სასწავლებელთ ეძლევათ.

*** ხვალ, 15 დეკემბერს, მთავარმართებლის სასახლეში მთხოვნელთა და მოსამსახურე კაცთა მიღება არ იქნება.

*** მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისათვის სამეურნეო საზოგადოებას დიდუბეში აურჩევია ადგილი.

*** 10 დეკემბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ, სხვათა შორის, მოისმინა თავ. ანდრონიკაშვილის მოხსენება კახეთის მევენახეთა კრების შესახებ, რომელიც ამას წინად თელავში მოხდა. ამ კრების დადგენილებანი ჩვენ უკვე გავაცანით მკითხველთ. სამეურნეო საზოგადოების კრებამ გარდასწყვიტა შეუერთდეს მევენახეთა კრების დადგენილებათ და საზოგადოების სახელით იშუამდგომლოს ამ დადგენილებათა დაკმაყოფილების შესახებ. ამასთან კრებაზედ ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას სხვა და სხვა სამეურნეო დარგში დროგამოშვებითის კრებების გამართვის პროექტი. ამ წინადადებას ყველანი თანაგრძნობით მოეკიდნენ. გარდასწყდა, რომ ამ პროექტის შემუშავება მიენდოს საზოგადოების საბჭოს. 17 დეკემბრისათვის დანიშნულია კრება საზღვარგარეთიდგან შემოტანილ აბრეშუმის თესლზედ ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

*** 11 დეკემბერს უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბ-ნმა რომბიმ ხელი მოაწერა ქალაქის თვითმმართველობასთან ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებ დადებულ ხელ-შეკრულობის პროექტს. პროექტი წარედგინა საგუბერნიო მთავრობას.

*** კიევისა და გალიციის მიტროპოლიტმა იოანნიკემ 1000 მან. შესწირა ტფილისის საეპარქიო სასწავლებელს.

*** ახალციხის ქალაქის მამასახლისი შუამდგომლობს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ახალციხის ქალაქის თვით-მმართველობას ნება დაერთოს დააარსოს საქალაქო წიგნთ-საცავ-სამკითხველო ა. ს. პუშკინის სახელობაზედ და სამკითხველოს დარბაზში ჩამოჰკიდოს პოეტის სურათი.

*** 18 დეკემბრისათვის სახელმწიფო საბჭოს განზრახვა აქვს განიხილოს ბათუმისა და ყარსის ოლქთა სადგილ-მამულო საკუთრების უფლების საქმე.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთაგან შეადგინა მქადაგებელთა ჯგუფები, რომელნიც განსაკუთრებულ კომიტეტის ხელმძღვანელობით, კვირაოუქმე დღეებში ქადაგებას წარმოსთქმენ ხოლმე წირვის შემდეგ ქალაქის 12 ეკკლესიაში. ქართულ ენაზედ ქადაგება გაიმართება: ანჩის-ხატის ტაძარში და წმ. მარინეს, ნიკოლოზისა (ხარფუხის), მამა-დავითისა, კალოუბნისა და ვერის ნიკოლოზის ეკკლესიებში.

*** 10 დეკემბერს მიმოსვლა ტფილისსა და თელავს შუა განახლდა.

*** დიდის ქარ-ბუქისა და თოვლის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაქოს ნაწილზედ მიმოსვლა სადგ. ქიშლსა და ბალაჯარს შუა ისევ შესწყდა და, როგორც ისმის, განახლდება მხოლოდ თოვლისა და ქარ-ბუქის შეწყვეტის შემდეგ.

*** ალშევიჩისა და კერის ფირმამ, რომელიც ქ. კიევში იმყოფება, ქ. ტფილისს წინადადება მისცა, ვიკისრებ ქალაქის განათების მოწყობასო. ფირმა თანხმა არის შეასრულოს ყოველივე სამუშაო 384,000 მან., იმ პირობით, რომ დახარჯული ფული სარგებლითურთ ქალაქმა 14 წლის განმავლობაში გარდაიხადოს. ამავე დროს სიმენსისა და გალსკეს ფირმამ დეპეშით შემოუთვალა ქალაქს, ვჩქარობთ განათების პროექტის დამთავრებას და ამ დღეებში წარმოგიდგენთო.

*** 9 დეკემბერს ნაწილის ზედამხედველმა ნაძალადევში მეჩექმის დავ. გოგინაშვილის დუქანში აღმოაჩინა ვაჭრის ილია ხარაევის მაღაზიიდგან მოპარულ საქონლის ერთი ნაწილი.

*** ბამბის მოსავალი ქუთაისის გუბერნიაში წელს ასეთი იყო: გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში და ქვიან ნიადაგზედ მოვიდა, საშუალო რიცხვით, 7—9 ფუთი წმინდა ბამბა დესეტინაზედ, ხოლო დასავლეთ ნაწილში და საზოგადოდ უფრო სველ ნიადაგზედ—მეტი, სახელდობრ 8—10 ფ. დესეტინაზედ. ქუთაისის საცდელ ყანაში დესეტინაზედ მოვიდა 15 ფუთამდე წმინდა ბამბა. თვისებით ბამბა უმეტეს შემთხვევაში ძალიან კარგი აღმოჩნდა, გვალვით დაზარალებულ ადგილებს გარდა. ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში ფუთი კარგი ბამბა 8 მან. ისყიდება. („კავკ.“).

*** „კავკ.“-ს ფოთიდგან დეპეშით აუწყებენ: 11 დეკემბერს ქალაქის მოურავმა საბჭოს მოახსენა პეტერბურგიდგან მოსული ამბავი, რომ სახელმწიფო საბჭოს დაუმტკიცებია გზათა სამინისტროს პროექტი ფოთის ნავთსადგურის შესავლის გაღრმავების შესახებ. ამ საქმისათვის საჭიროა სულ ოთხი მილიონი მან., რომლის ერთი ნაწილის გარდახდა უნდა იკისროს ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ.

## წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან
### (გურია)

12 სექტემბერი ჩვენთვის დიდ-მნიშვნელოვანი და სამახსოვრო დღე იყო. ამ დღეს დასრულდა გაუთავებელი „შენ-ჩემობა“. ჩვენის საზოგადოების „პარტიელნი“ გონს მოვიდნენ, შეუერთდნენ ჭირსა და ლხინში განუყოფელ თავიანთ მოძმეებს, ააგეს სკოლის შენობა და ხსენებულ დღეს კიდეც აკურთხეს. შენობა კარგა მოხდენილს გორაკზედ სდგას, ორ-კლასიან სასწავლებლისთვის (ჯერ-ჯერობით მაინც) სრულიად საკმაოა და ორი მასწავლებლისთვის ძლიერ კარგი ოთახები და სამზარეულოც აქვს. 12 სექტემბერს შეიკრიბა მთელი საზოგადოება თავიანთის წარმომადგენლებით, მოვიდა მაზრის უფროსი ბოქაულითურთ და ადგილობრივმა მღვდელმა შეასრულა კურთხევის წეს-რიგი. სკოლა წინადაც გვქონდა, მასწავლებელნიც გვყავდა, მაგრამ დღეს სულ სხვაა. ამ დღიდგან სკოლის სვე-ბედი ჩაჰბარდა ამ სკოლისავე შვილს, რომელიც აქვე სწავლობდა ათის წლის წინ, ბ-ნ თეოფანე კალანდარიშვილის მასწავლებლობის დროს. არც უფროსნი მოსწავლენი, არც საზოგადოება დიდხანს არ დაივიწყებენ ამ კაცს, როგორც მასწავლებელს. დღევანდელი მასწავლებელი, რამდენადაც ვიცით, მუყაითი კაცია; იმედი გვაქვს, რომ ის წაბორძიკებულ სკოლას მეორე მასწავლებელთან ერთად ფეხზედ წამოაყენებს, წელს გაუმაგრებს და ყოველგვარ ხელის-შემშლელ გარემოებას შეძლებისამებრ გაუმკლავდება. უნდა მოგახსენოთ, რომ „ხრიკამეები“ ჩვენში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილან, თუმცა სინათლის-კი ეგევე ძალიან ეშინიათ და ბნელ კუთხეებში იკუჭნებიან, რა არის, ვინმე „უსაქმურმა“ „გაზეთში“ არ მიკრას თვალი. ცოდვა გამჟღავნებული სჯობს და ჯერ კიდევ გული ვერ დამინდვია, ვინ იცის რომელი ხრიკამე რას გამოატყუებს ჩვენში და როგორ არევ-დარევს აწყობილ საქმეს, მაგრამ...

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
ცუდია დაღრეჯილობა“.

და უფალო, ნუ მიგვცემ სასოწარკვეთილებას!.. დიახ, ჩვენში ბევრი საქმეა გამოსასწორი, ბევრი მრუდედ ნათეს-ნათესარცხია გასასწორებელი, ბევრი რამ არის წეს-ასაგები, ბევრიც გასამარგლ-გასათოხნი და აღსაზრდელი. სკოლა, წიგნთ-საცავი, გზები, მამასახლისის არჩევნები, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, სასოფლო ფულების რევიზია, მელის ცოდვების აღნუსხვა, ახლების აღმოჩენა,—ყველა ეს დღეს კარზედ გვადგას. დღეს მხოლოდ სკოლის შესახებ ითქმის: „ცოტად ფეხი მოიმაგრა, მოლიპულ გზას ასცდაო“. დანარჩენი-კი ფეხ-აუდგმელი და ზოგიც უკან უკან მიმავალია. აქ სკოლა არსებობს, თუ არ ვცდებით, 1865 წლიდგან.

1885 წელს სკოლას ბედმა გაუღიმა: მასწავლებლად განწესებულ იქმნა ბ-ნი თ. კალანდარიშვილი. აქაუ წინანდელ სკოლას არც ერთი კაცი არ გამოუზრდია, სამაგიეროდ ბ-ნ კალანდარიშვილს თავისს მოსწავლეებს შორის უკვე ჰყავს რამდენიმე კაცი საშუალო განათლებას მიღწეული და ზოგიერთები დღესაც სწავლობენ სხვა-და სხვა

---

ლი, სადაც სიცოცხლე ებრძოდა სიკვდილს... შეაყენა გაქანებული ცხენი და რამდენსამე ხანს სახე-შეჭმუხნული, წარბებზედ ფაფახ-ჩამოწეული მიაშტერდა ბრძოლას. ბრძოლის ცეცხლში გაწვრთნილმა მისმა ცხენმაც, თითქო იგრძნო ბრძოლის ცეცხლიო, ფრუტუნით წინ წევა დაიწყო, სცემდა ტორებს, ერთს ადგილას ვერ ისვენებდა, ხან სმენად გარდაიქცეოდა ხოლმე და ყურების ცქვეტით ბრძოლისაკენ გაიყურებოდა...

ქუნჩუკის ყურადღება მიიქცია უფრო ერთმა მტრის მეომარმა. ჩაჰრილიყო იგი ჩერქეზების გუნდში და მარჯვნივ და მარცხნივ უწყალოდ ჰკაფავდა ჩერქეზებს. წინ ვერც ერთი ჩერქეზი ვერ უდგებოდა და თუ ვინმე გაჰბედავდა, ძვირად უჯდებოდა კადნიერება. იმას მოსდევდნენ სხვა მისგან გამხნევებული ჯარის-კაცები და წაქეზებულნი უფრო და უფრო აწვებოდნენ ჩერქეზებს. ქუნჩუკი-კი უყურებდა ამას და ცეცხლი ედებოდა. ბრძოლის ყიჟინით აკანკალებული ამხანაგებს მიუბრუნდა.

— ხომ ჰხედავთ აი, იმ თეთრ ქუდიანს, თუ არ მოიკლა, ძალიან დაგვაზიანებს და შეიძლება დაგვამარცხონ კიდეც. მე იმას შევუტევ და ჩვენ ორში ერთი უნდა მოკვდეს. არ მომეშველნეთ. თუ მომკლავს, მაშინ თქვენ იცით... ამ დროს გაისმა სიმღერის ხმა. გაიხედეს ქუნჩუკმა და მისმა ამხანაგებმა და დაინახეს სოფლის პირას, მაღლობზედ ქალები, რომელნიც ერთი ერთმანეთ გადახვეულნი გადაჰყურებდნენ ბრძოლის ველს და გმირულ სიმღერას დასძახოდნენ...

— მომყევით!.. წამოიძახა ქუნჩუკმა და გაჰქუსლა ცხენი. მიჰყვნენ მას სხვებიც. შთაცვივდნენ ბრძოლაში თუ არა, ქუნჩუკმა პირდაპირ თეთრ-ქუდიანისაკენ მიაშურა და იმ დროს, როდესაც უკანასკნელმა ერთის მოქნევით თავ შუაზედ გაჩეხილი ჩერქეზი ჩამოაგდო ცხენიდგან, დაიძახა:

— ყოჩაღ! კარგი მკლავი გქონია და აბა ეხლა ჩვენც ვცადოთ.

— ქუნჩუკ, ქუნჩუკ!.. დასცეს სიხარულის კიჟინი იმედ მიცემულმა ჩერქეზებმა, რა-კი დაინახეს თავიანთი გმირი, და ერთი ორად ქეეულებმა და გამხნევებულებმა მედგრად შეუტიეს გალაღებულს მტერს...

— გაიგონა მტერმა ქუნჩუკის გამოძახება თუ არა, მაშინვე მოატრიალა ცხენი და უშიშრად მიაგდო ქუნჩუკზედ. იელვა კიდეც ჰაერში დასისხლიანებულმა მტრის ხმალმა და ისეთი ძლიერი და მედგარი იყო მოქნევა, რომ მკლავის ძალდატანებისაგან იგი გადმოეზნიქა ცხენს, მაგრამ წახდა მოქნევა: ხმალი მხოლოდ მტრის ცხენის უნაგირს მოხვდა და მტერი-კი დაუშავებლად მიწაზედ გადამხტარი უვნებლად იდგა. გადაზნექილ მტრის თავს იელვა ქუნჩუკის ხმალმა და მისმა მხარ-მკლავიანად მოგდებულმა თავმა მიწაზედ ზღართანი მოიღო. მისმა ცხენმა, პატრონის მთრთოლვარე ლეშისაგან დამფრთხალმა, განზედ ისკუპა და შეშინებულმა ფრუტუნით კანკალი დაიწყო, თითქო პატრონს ეძებსო, ყურებ აცქვეტილი აქეთ-იქით იცქირებოდა, ერთი როგორღაც ნაღვლიანად შეიჭიხვინა და შემდეგ ძუა-ფაფარ აშლილი გაექანა ბრძოლის მინდორზედ...

დასცეს სიხარულის კიჟინი ჩერქეზებმა, რა-კი გამარჯვებული დაინახეს თავიანთი გმირი. ქუნჩუკი შემოახტა თავისს ტაიჭს, რომელიც ბევრ ამ ნაირ შეტაკებაში გაწვრთნილი, ალაგიდგან არ დაძრულიყო, მედიდურად გადაავლო მრისხანე ცეცხლის მფრქვეველი თვალები მებრძოლთ და მედგრად შეუტია მტრის გუნდს... მიჰყვნენ მას თანამოძმენიც, მიუძღოდა ქუნჩუკი და თან მიჰქონდა მტრის გვამებით შეგუბებული სისხლის ბილიკი.

უკანასკნელი ძალა და მხნეობა მოიკრიფა მტერმა, მაგრამ გამარჯვებისა-კი ყოველი იმედი დაეკარგათ. ისინი ვეღარ შეაყენებდნენ გაშმაგებულ ჩერქეზობას; მხოლოდ იმას-ღა სცდილობდნენ, რომ როგორმე უფრო დაუზარალებლად განშორებოდნენ ბრძოლის ველს და ასულიყვნენ მდინარე ყუბანს. კარგად იცნობდნენ ჩერქეზებს და იმათის ბრძოლის წეს-რიგი და ჩვეულებაც კარგად იცოდნენ: თუ ზურგს უჩვენებდნენ და გაიქცეოდნენ, ჩერქეზები ფეხ-და-ფეხ უკან მიჰყვებოდნენ და ბევრი ვეღარ გადარჩებოდა ცოცხალი მათს მრისხანე ხმალს; ამისათვის ნელ-ნელა იწევდნენ უკან...

მზე კიდეც გადაესვენა. კავკასიონის მთების ზვავ-ყინულებზედ მწოლარე ნისლი ნელ-ნელა აიშალა; მაღლა და მაღლა აიწია, შეჯგუფდა, შეკუმშდა, დაიდო ამღვრეული, შავი ფერი და ვეშაპსავით სრიალით ჩამოაწვა ბარს. მიყუჩდა ბუნება. მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა. ხეზედ ფოთოლიც-კი არ ირხეოდა ნიავისაგან. ამ დროს უცბად იელვა საშინლად, მას მოჰყვა საზარელი ქუხილი, რომელსაც ბანი მისცა მთა-ბარმა... ჩამოეშვა კოკის-პირული წვიმა. აქეთ-იქიდგან მოვარდა ნიაღვრები. გაშმაგებული პატარ-პატარა წყლები ვეღარ ეტეოდნენ თავიანთ კალაპოტში. იმათგან ადიდებული ღაბა აიმღვრა, დაიდო ლეგა ფერი და აღქაფებული, მოგლეჯილ ქვების რახა-რუხით ხან ერთ კიდეს ეცემოდა ღრიალით და ხან მეორეს, თითქო უნდოდა ცოდვილის ქვეყნის გარღვევა და წალეკვა!.. წვიმამ და ღამის გუშაგმა გაჰყარა მოსისხლე მტერნი. მტერი ღამითვე გადავიდა თავიანთ სამფლობელოში და გამარჯვებული ჩერქეზები-კი სახელოვან კუნჩუკის წინ-ძღოლით, სამხედრო სიმღერის თქმით დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სოფელში.

შესწყდა ბრძოლის ველზედ მებრძოლთა კიჟინი. ცხენების ჭიხვინ-ხიხვინი, ხმლების წკაპა-წკუპი. სისხლით მორწყულ და მკვდრების გვამებით მოკენჭილ ველზედ ცოცხალი ადამიანი აღარსადა სჩანდა. წვიმის შემდეგ მოწმენდილ ცას ვარსკვლავები გაეკვრნენ. გლოვის ნაცვლად ღამის სიო დაჰზუზუნებდა და არხევდა ბალახს, რომლიდგანაც ცრემლის ნაცვლად მკვდრების გვამებზედ სისხლ შერეული წვიმის ცვრები იფრქვეოდა...

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებელში. დღეს თავს ბედნიერად უნდა ვთვლიდეთ, რომ დროებით წინამძღვრებული სკოლა უკვე სასურველს გზას დაადგა.

დღიურ კითხვას ჩვენში შეადგენს მამასახლისობა. იყო დრო, როცა ერთისა და იმავე კაცს ორ-სამჯერ აირჩევდნენ ხოლმე მამასახლისად ზედი-ზედ. ამ ბოლო დროს-კი უკანასკნელ ორ მამასახლისობის ვადაში ცხრა სხვა-და-სხვა კისერს ამშვენებდა მამასახლისის ჯაჭვი. რადგან უბედურებაა და ეს წინით ძლიერ მსუბუქი ჯაჭვი ამ ბოლო დროს ძლიერ დამძიმდა; ერთმა სთქვა: „მძიმეა, ვერ ვზიდავო", მეორეს უთხრეს: „შენ ღონე არ შეგწევს, კისერი არ გივარგაო" და... ეს ჩვენი სოფლის ცხოვრების ორთავური „ხან აქ არის, ხან იქ არის, ნამდვილად-კი არსად არის". და ამ გადასვლა-გადმოსვლაში თან მიაქვს ცოტ-ცოტა „ანგარიშები", რაიცა 240 კომლიან საზოგადოებაში ფრიად საგრძნობია. იტყვი რამეს, თუ არა, გამოხტება ვინმე „ხრიკაძე" და დასცემს განგაშს, საყვირს აყვირებს: „სეფიისშვილს თავისი მხარე სძულს, ყველას გვლანძღავს, თავს გვჭრის; რაც უნდა იყოს, მაინც მისი სოფლის კაცი ვარ და არ უნდა მლანძღავდესო" და სხვა. ღმერთი, რჯული სალანძღავად არა მცალიან, მაგრამ ამის გასაგებად ხომ დაწერილის წაკითხვაა საჭირო. ეს ბატონები-კი არაფერს არ კითხულობენ და სხვებისაგან განიგონს გაიძახიან. დაჭყვარავ ცუდად ნამუშევარს და სინიდისი შეგაწუხებს. არავისთვის აღარ უნდა იყოს დაფარული, რომ მიქელ-გაბრიელის საზოგადოების „მამინაცვლები" საქმეებს ვეღარ უძღვებიან, ანგარიშები ებნევათ.

არევ-დარეული საქმეების გამოწყობა თუ უფრო აბნევა, ჩვენის საზოგადოების წინ სვლა თუ უკან ჩანჩალი ამ ახლო მომავლის არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს. წრეულს მამასახლისი უნდა ავირჩიოთ მომავალი სამის წლის ვადით. ვიცი, ჩვენში ბევრს ვინმე-ვინმეებს უძილობა შეეყარათ, საჭმლის მადა უკვე დაკარგული აქვთ და მუდამ ძილსა და ღვიძილში ყველგან „ჯაჭვი" ელანდებათ. ზოგს, ვგონებ, თითონ სურს მამასახლისი გახდეს და დაადიდინოს:

„მამასახლისათ დავდექი,
ყოფილა გამოსადექი;
წელშიც ახლა გავიმართე,
ფეხზე მაშინ წამოვდექი"... და სხვა.

ზოგს კიდევ „მისი კაცის", თავისი მონა-მორჩილის გამამასახლისება უნდა, მაგრამ ვინ იცის, ვის რას მოუტანს „იღბალი". დღეს სხვა დღეა. უპირველეს ყოვლისა საზოგადოებამ აქ ძილდამფრთხალმა „...ავი ცხენები" უნდა მოუმზადოს, ძველ-კი საჭიროა გამოიძებნოს კაცი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოების სამსახური ექნდეს საგნად. მოვძებნოთ ასეთი კაცი, ვთხოვოთ უფასოდ სამსახური, ანუ მივცეთ კომლზე თითო მანეთი, ოღონდ მან ჩვენი საქმეები აკეთოს და არა სხვისი. საჭიროა ისეთი კაცი, რომელმაც იცის წასვლა მოსვლა, გზების მონახვა, სიტყვის თქმა დიდთანაც და პატარასთანაც. საზოგადოებას ხეირიან კვალს მხოლოდ ის მამასახლისი თუ დააჩნევს, რომელსაც სინიდისი და ზნეობა სწამს, მასზედ რამე წარმოდგენა აქვს.

აქა-იქ გურიის სოფლებში სახალხო წიგნთ-საცავებს მამასახლისებმა ჩაუდგეს სული. დღეს ჩვენცა გვაქვს წიგნთ საცავის ნება-რთვა. თუ დროზედ არ გავხსნით, შეიძლება ნება-რთვაც დავკარგოთ. როცა მცოდნე მამასახლისი გვეყოლება, ამ საქმეს, მასწავლებლებთან ერთად, თითონ ის გაუძღვება. აქეთ მიდგება, იქით და წიგნთ-საცავს ფეხს უშოვის. მადლობა ღმერთს, გურიაში ასეთს საქმეებს თანაგრძნობით ეგებებიან.

გზები ცოტა შეაკეთეს ჩვენში. ყველას სურს გზები გაკეთებული გვქონდეს, არა მოხარკე წოდებაც, ვგონებ, დაგვეხმარა, ყველა თუ არა, ზოგიერთები მაინც. საჭიროა მხოლოდ მოთავე და ცოტა მეტი გარჯა.

მალე ჯეროვან მთავრობას წარუდგინება შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წესდების პროექტი და იმედიც გვაქვს, დაამტკიცებენ. მცოდნე მამასახლისი ამ დაწესებულებას თითონ ჩაუდგამს სულს. ამ არჩევნებმა უნდა გვაჩვენოს, ისწავლა თუ არა ჭკუა ჩვენმა სოფელმა მწარე გამოცდილებით.

სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი უკვე ბევრია, შეიძლება მომავალ წელს და შემდეგში ორი მასწავლებელი ვეღარას გახდეს. საჭირო იქნება განა ჩვენი დავადგინოთ და მთავრობას ვთხოვოთ დაგვინიშნოს ხაზინის ჯამაგირით მესამე მასწავლებელი. რადგანაც ჩვენი საზოგადოება კომლთა რიცხვით პატარაა და აღარ შეუძლიან მესამე მასწავლებლის შენახვა, ადვილად შეიძლება, რომ მთავრობამ ყურად იღოს ჩვენი თხოვნა, თუ-კი საქმე საფუძვლიანად დავიწყეთ. ამასაც მამასახლისი უნდა და ვისურვოთ, რომ ამ არჩევნებს ფუჭად არ ჩაევლოს.

ვ. სეფისპირელი

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ: საშუალო სასწავლებელთა უფროსებს გააცნეთ მათი მოვალეობა სასტიკად ადევნონ თვალ-ყური, რომ საპედაგოგიო საბჭოებმა სახელმძღვანელოები სამინისტროს და სასულიერო უწყების-მიერ მოწონებულ წიგნებიდგან აირჩიონ. ამასთან სამინისტრომ განმარტა, რომ ეს წინადადება შეეხება არა მარტო ახალ სახელმძღვანელოებს, არამედ წინად მოწონებულ ახალ გამოცემებსაც. ამის გამო სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტი სთხოვს სახელმძღვანელოების შემდგენელთ და გამომცემელთ წარმოგვიდგინეთ ეს სახელმძღვანელოები რაც შეიძლება თავისს დროზედაო.

— ფინანსთა სამინისტრომ 50,000 მან. გადასდო იმ მასწავლებელთა შემწეობის აღმოსაჩენად, რომელნიც პარიჟის გამოფენაზედ გაიგზავნებიან. განზრახულია გაგზავნილ იქმნას 150 მასწავლებელი, (ათ-ათი კაცი თითოეულ სამოსწავლო ოლქიდგან). უმთავრესად საშუალო და სამზრუნველო სასწავლებლებიდგან. თითოეულს შემწეობად მიეცემა 300 მან.

— ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება მომავალ 5 წლისათვის ქალაქის უძრავ ქონებაზედ სახელმწიფო გარდასახადის დაწესების შესახებ, ეს გარდასახადი მთელ იმპერიაში უდრის 8.887,000 მან. სამხრეთ რუსეთში საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა და მისთვის ადგილის არჩევის საქმე, როგორც ისმის, გადაცემული აქვს განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც საბოლოოდ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ამა წლის ზამთარში.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ომის დაწყების დროს ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ ინგლისის გავლენას სამხრეთ აფრიკაში რაიმე დააკლდებაო. პირ-იქით, ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ინგლისის დროშა გაფრიალდება ორთავე რესპუბლიკის სატახტო ქალაქებში—ბლემფონტეინსა და პრეტორიაში. ეხლა-კი, ისე გაუტეხეს სახელი ბურებმა ინგლისის ძლიერებას, რომ ბევრნი არა თუ სამხრეთ აფრიკის ახალშენების დაკარგვის შესახებ ლაპარაკობენ, არამედ მთელი იმპერიის ბედ-იღბალზედაც. არკვევს-რა გენერალ ბულლერის დამარცხების შედეგს, გერმანული გაზეთი „Koln. Ztg." ამბობს:

„ბულლერმა თუ ვერ შესძლო ხელახლა მიეიდეს მტერზედ და სძლიოს, უაიტის ჯარის ბედი გარდაუწყვეტლად უნდა ჩაითვალოს. ბულლერის მდგომარეობა ნატალში ბევრად წააგავს მეტუენისას დასავლეთ მხარეს. ორივე ჯარს იმედი აქვს ერთად-ერთის რკინის გზის ლაინდგისა, რომელსაც ყოველივე მხრივ შიში მოელის მტრისაგან. იმის შესახებ შიში, რომ გზა არ მოუჭრას მტერმა, არ ამოსწყვიტოს ანუ შიმშილით არ ამოსწყდნენ, კიდევ უფრო ძლიერდება პოლიტიკური მდგომარეობით, რომელმაც ნატალსა და კაპის ახალშენში მით უფრო უნდა აღძრას დრტვინვა, რომ ინგლისელების ზედი-ზედ დამარცხებას შეუძლიან განაცხოველოს მიმალული უკმაყოფილება ინგლისის ბატონობის ქვეშ მყოფ ბურებისა. შესძლებს თუ ვერა ინგლისი სძლიოს ეს განსაცდელი მაშველის ჯარებით, რომელთა გაგზავნა შეიძლება მხოლოდ თანდათან, შესძლებს თუ ვერა ახალი ჯარებით გაასწოროს ძველი შეცდომილება, რომლიც იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის სამხედრო ძალა განაწილებულია სამად,—ძლიერ საეჭვოა მას შემდეგ, რაც ბულლერი ისე სასტიკად დამარცხდა. ეხლა დრო არის ვიკითხოთ: საზოგადოდ მოახერხებენ ინგლისელები, თუ ვერა, როცა იქნება, გაიმარჯვონ მტერზედ? ეს ომი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათა წინააღმდეგ, რომელთაც ცოტა ჯარი ჰყავთ, მაგრამ ძლიერი იარაღის პატრონები არიან, დღითი-დღე იზრდება და დიდს განსაცდელს წარმოადგენს, როგორიც ოდესმე გადაუტანია ბრიტანიის იმპერიას. თუ მან ვერ გაუძლო ამ განსაცდელს, ამას შედეგი ისეთი იქმნება, რომლის წარმოდგენა არც შეიძლება ეხლაო".

თითონ ინგლისშიაც ასეთივე ხმა გაისმის. აი, მაგალითად, რასა სწერს გაზეთი „Daily Mail":

„ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ საშობაოთ ბულლერი პრეტორიაში იქნება, და ბურების წინააღმდეგ მთელი კორპუსის გაგზავნაც არ არის საჭიროო. სამხედრო სამინისტროს დაუდევრობისა და უვიცობის წყალობით, ეხლა იძულებული ვართ გავგზავნოთ სამხრეთ აფრიკაში მერვე დივიზია. ჩვენი არტილერია ვერ უდრის ბურებისას, და ჩვენი ზარბაზნები ისე შორს ვერ ისვრის, როგორც მათი. ინგლისის უშიშრად ყოფნა სულ ერთიან დაირღვა, რადგან ჯარები აღარ რჩება აქ საზღვრების დასაცველადაო".

„Moring Post"-ი იმ ბრძოლამდესაც ამტკიცებდა, რომელშიაც ბულლერი დამარცხდა, რომ იმპერიის ბედ-იღბალი იმის ხანჯაში არისო. ბევრსო,—ამბობდა გაზეთი,—ეს სიტყვები გადაჭარბებულად მოეჩვენება, მაგრამ თუ კარგათ ჩაუკვირდებით რა შედეგი ექმნება ლედისმიტთან გამარჯვებას, ყველა შეიგნებს ამ სიტყვების სინამდვილესო. ბურების გამარჯვებამ სახელი გაუტეხა ბრიტანიის სამხედრო ძლიერებას; საზღვარ გარეთ მას ერთი მეგობარიც-კი არ მოუპოვებაო. გაზეთი ურჩევს მთავრობას, ყოველივე შემთხვევისათვის მოამზადოს და ფლოტის ყველა გემი მზად იყოლიოს.

საინტერესოა ამ საგნის შესახებ მსჯელობა ოსმალეთის მეომართა. როგორც გაზეთები იუწყებიან, კონსტანტინოპოლში იმ აზრის არიან, რომ ინგლისს თან და თან სახელი უტყდება იმის კვალობაზედ, რაც მისი გენერლები უვიცობას იჩენენ თანამედროვე სამხედრო მეცნიერებაში. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში სამხედრო ტაქტიკა შეიცვალაო,—ამბობენ თურმე ოსმალეთის აფიცრები,—და ევროპის არც ერთს გენერალს აზრად არ მოუვა იერიში მიიტანოს გამაგრებულ მაღლობებზედ, როცა მარტო ქვეითა ჯარი ჰყავს, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს და მხარს არ აძლევს არტილერია და ცხენოსანი ჯარიო. ოსმალეთის სტრატეგები თითონ სამხედრო გეგმასაც იწუნებენ თურმე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის სამხედრო ძალა დაქსაქსეს. ასეთი ტაქტიკაო, შეიძლება ლედისმიტის დამხობითა და კაპის მცხოვრებთა ამბოხებით გათავდესო,—ამბობენ ოსმალები.

—

**იაპონია.** გაზეთების სიტყვით, პრინცი კონოიე, იაპონიის ზედა პალატის პრეზიდენტი, ჩინეთის მთავრობას წარუდგენს ჩინეთ-იაპონიის საკავშირო ხელ-შეკრულობის პროექტს. ამ პროექტით, ორივე სახელმწიფოს მთავრობა თანხმანი უნდა იყვნენ ერთმანეთის ყველა საგნის შესახებ, რომელთაც აღსძრავენ თეთრკანიანები (ევროპიელნი). ორივე სახელმწიფო წინ უნდა აღუდგეს იმას, რომ თეთრკანიანებს ახალი რაიმე დაუთმონ. ყვითელ კანიანთა აღებ-მიცემობას უპირატესობა უნდა მიანიჭონ და საზოგადოდ ხელი შეუწყონ.

—

**საფრანგეთი.** გერმანიის მთავრობის მიერ წარდგენილმა პროექტმა რეიხსტაგში ფლოტის გაძლიერების შესახებ, როგორც ეტყობა, დიდად იმოქმედა საფრანგეთზე. 3-ს დეკემბერს ზღვათა მინისტრმა ლოკრუამ დეპუტატთა პალატას მოსთხოვა 500 მილიონ ფრანკის გადადება, რომლისგანაც ნახევარი უნდა დაიხარჯოს ფლოტის გასაძლიერებლად, ხოლო ნახევარი ზღვის ნაპირების გასაძლიერებლად, როგორც თვით საფრანგეთში, ისე ახალშენებში. მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთს დიდი განსაცდელი მოელის და თავიდგან მისი აშორება მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ფულს არ დავზოგავთ და გულსმოდგინეთ შევუდგებით საქმესო. საფრანგეთის არც ერთი ზღვის ნაპირა ქალაქი არ არის საკმაოდ გამაგრებული, არსენალებში საკმაო ზარბაზნები და სხვა იარაღები არა გვაქვს და ფლოტიც საკმარისად ძლიერი არ არისო.

## დამაკვირდი

ისე მოკუსვი კალამი,
რომე შემქნა ალამი
და ერმაც მიძღვნა სალამი.

ლასურიძე

* * *

ცოლიანი კაცი, გალიაში დამწყვდეული ფრინველია.

იტალიური ანდაზა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის დედოფალს ვიქტორიას თავისს სასახლეში ბრძანება გაუცია, რომ მცირე წლოვან პრინცებსა და პრინცესებს, დედოფლის შვილის-შვილებს, ნება აღარ მისცენ „ომიანობის" თამაშობისა. „ომიანობა" მცირე-წლოვან პრინცების და პრინცესების საყვარელი თამაშობაა. „აომებენ" ეს პრინცები ჯარის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილ ხის ტიკინებს. დედოფალს უთქვამს, რომ ეს თამაშობა შეუფერებელია ეხლა, როდესაც ნამდვილი ჯარის-კაცნი სამხრეთ-აფრიკაში სისხლსა ჰღვრიანო.

* * *

ევროპის მთავართა და მეფეთა შორის ყველაზედ მეტი შვილები პარმის ჰერცოგსა ჰყავს. ამას წინად ჰერცოგს მეცხრამეტე შვილი გაუჩნდა. ჰერცოგს სულ ათი ქალი და ცხრა ვაჟი ჰყავს. ამასთან ქალებს შორის მხოლოდ ერთია გათხოვილი, დანარჩენნი გაუთხოვარნი არიან, ვაჟებში-კი არც ერთს არა ჰყავს ცოლი. ჰერცოგს ეხლა მეორე ცოლი ჰყავს. პირველი ცოლი გარდაიცვალა 1882 წელს, როდესაც უფროსი ქალი 12 წლისა იყო. ამ ცოლისაგან ჰერცოგს ცხრა შვილი ჰყვანდა. მეორე ცოლი ორის წლის შემდეგ შეირთო. ამ ცოლისაგან ჰერცოგს ათი შვილი ჰყავს. საყურადღებოა, რომ უმცროს ძმას ჰერცოგისას, რომელმაც აგრეთვე ამ რამდენისამე წლის წინად მეორე ცოლი შეირთო, არც ერთი შვილი არა ჰყავს.

* * *

შემდეგს სამწუხარო ამბავს მოგვითხრობს გაზეთი „Харьков. Губерн. Вѣдомости":

„ვორონეჟის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაში სწავლობდა მეტად ღარიბის დედ-მამის შვილი ბ—ვი. ბ—ვს მხოლოდ დედა ჰყვანდა. ამიტომ სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდა. ბავშვი თუმცა მაინც და მაინც ნიჭიერი არ იყო, მაგრამ მეცადინეობის წყალობით კარგად სწავლობდა. ერთის სიტყვით ბავშვს არა უჭირდა-რა, რომ ნამეტანი ცელქი არა ყოფილიყო, მთელი დღე ჩხუბსა და ჭიდაობაში ატარებდა და მოსვენებას არავის აძლევდა. ამის გამო სასწავლებლის მთავრობამ შეუთვალა ბავშვის დედას, შენი შვილის შენახვის თავი არა გვაქვს, გაიყვანე და შენ თითონ შეინახეო. ამასთან მთავრობამ სტიპენდიაც დაუნიშნა ბავშვს, წელიწადში 40 მანეთი. რაღა ლიპარაკი უნდა, რომ 40 მანეთად ქალაქში ბავშვის შენახვა შეუძლებელი იყო. თვით დედა სოფელში სცხოვრობდა და იმდენად გაჭირვებული იყო, რომ ხშირად საჭმელი პური არ მოეპოვებოდა თურმე. მართალია, მეორე შვილიცა ჰყვანდა, რომელიც ქალაქში სცხოვრობდა მაგრამ ამას მეტად მცირე ჯამაგირი ჰქონდა და წვრილ ცოლ-შვილსაც ძლივს უძღვებოდა. ბავშვის პანსიონიდგან გამორიცხვის ამბავმა საშინლად დაალონა და დააძმარა თურმე დედა. გამწარებული დედა სასწავლებელში მისულა და შვილი სასწავლებლის ბაღში გაუყვანია. იქ ამოუღია რაღაც სითხით სავსე შუშა და შვილისათვის გადაუცია.

— ეს რა წამალია, დედა? უკითხნია შვილს.

— ეგ, შვილო, ძალიან კარგი წამალია, მიუგია დედას: დალევ თუ არა, სიცელქეს მოიშლიო. ბავშვს აღარაფერი უთქვამს და დაულევია ნახევარი შუშა; დანარჩენი თვით დედას დაუცლია. ცოტა ხანს უკან ორივენი ავად გამხდარან თურმე. დედას განგებ საწამლავი ჩაუსხამს შუშაში. ექიმებს ვეღარაფერი უშველიათ. შვილი იმავე დღეს გარდაცვლილა, დედა-კი ორის კვირის შემდეგ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი

**კალიში.** კალიშის გუბერნიის ველიუნის მაზრის სოფელ ოსეკში საზარელი მკვლელობა მოხდა: ამოსწყვიტეს გლეხის კოვალსკის ოჯახი, რომელიც ცხრა სულისაგან შესდგებოდა. მკვლელობის გამოსაძიებლად წავიდნენ გამომძიებელი და ბრალმდებელის ამხანაგი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გოროხვეტის მაზრის სოფელ ოგრისკოვში ახალგაზდა მუშამ დასჭრა დედა, ცოლი და ძმები. ძმები გარდაიცვალნენ კიდეც. დამნაშავე გაიქცა, მაგრამ მალე შეიპყრეს.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო". „Daily Mail"-ი იუწყება, რომ ლეიდსმა მიჰმართა დელკასსეს და სთხოვა, შუამდგომლობა გასწიეთ ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ზავის ჩამოსაგდებადაო. „Agence National"-ს მინდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

**ბერლინი.** ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის ყველა კორპუსებს აფრიკაში ებძანათ უკან დახევა იმ დრომდე, ვიდრე ახალი მაშველებელი ჯარი ჩავაო. ბულლერი ესტკორტისაკენ წავა, მეტუენმა მდინარე ორანჟესაკენ უნდა გაიკვლიოს გზა, ხოლო გატეკრმა—კუინსტაუნისაკენ. ლედი-სმიტი და კიმბერლეი ბედის ანაბარა იქმნებიან მიტოვებულნი.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო" იუწყება: „ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „Daily Mail"-ის მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ელჩს საფრანგეთის მთავრობისათვის ეთხოვნოს შუამდგომლობის გაწევა მეომარ სახელმწიფოთა შორის, სიმართლეს მოკლებულიაო".

12 დეკემბერი

**ოდესსა.** ზღვის გამუდმებულ ღელვისაგან გემების წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილია. გემები რამდენიმე დღით იგვიანებენ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". გენერალი რობერტსი, აფრიკაში მყოფ ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნული, უკვე წავიდა საუტგამტონიდგან სამხრეთ აფრიკაში.

**ნიუ-იორკი.** „რეიტერის სააგენტო". გეიმ განკარგულება მოახდინა გამოიძიონ ინგლისელების მიერ დელაგუას ნავთსადგურში ამერიკელების გემების შეპყრობის საქმე. ეს გემები ფქვილით იყო დატვირთული. ინგლისელებს ფქვილი სამხედრო კონტრაბანდად უცვნიათ.

**კალკუტა.** „რეიტ. სააგ.". გადაწყვეტილია გაგზავნონ კაპის ახალშენში ინგლისელ ცხენოსანთა რაზმი და აგრეთვე 2000 ცხენი.

**პეკინი.** 10 დეკემბერი. „რეიტ. სააგ." მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც დიდ ჯილდოსა ჰპირდება იმას, ვინც კანგ-იუ-ვეის ცოცხალს ან მკვდარს მიიყვანს. რადგანაც კანგ-იუ-ვეი გონკონგშია, ეს ბრძანება ინგლისის ახალშენში მკვლელობის ჩადენის წინადადებასა ჰნიშნავს.

**ვენა.** აქ გარდაიცვალა სერბიის სამხედრო მინისტრი. 13 დეკემბერს მინისტრის გვამს ბელგრადში წაასვენებენ.

**სოფია.** საერო კრებამ 300,000 ფრანკი გადასდო იმპერატორ ალექსანდრე III-სთვის ძეგლის ასაგებად. გადასდო აგრეთვე ერთი მილიონი ფრანკი მთავრისათვის. ცხარე კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა შინაგან და გარეშე საქმეთა სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვა, მხოლოდ ამა უწყებათა საიდუმლო ფონდს მიუმატა 120,000 ფრანკი.

13 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 12 დეკემბერს სადღესასწაულო სხდომამ პატივი სცა ბრიულოვის დაბადების ასის წლის თავს.

**მოსკოვი.** დღეს მოსკოვის სტუდენტთა დამხმარებელმა საზოგადოებამ იდღესასწაულა თავისი 25 წლის არსებობა.

**ბერლინი.** უმაღლეს ბრძანებას ფინანსთა მინისტრს ვიტტეს მიმართ მთელი გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა გამუდმებით არჩევს და სჯის. სა-პოლიტიკო და საფინანსო წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ აქტს, რომელიც მიაჩნიათ არა მარტო იმის საუცხოვო დასამტკიცებელ საბუთად, რომ იმპერატორს შეურყეველი ნდობა აქვს რუსეთის საფინანსო პოლიტიკის სამაგალითო ხელმძღვანელისადმი, არამედ იმ მტკიცე სურვილის აშკარად გამოხატვადაც, რომ ფულის გონივრულ სისტემას მუდმივი ხასიათი მიეცეს. ევროპის ფულის ბაზრის დღევანდელ შევიწროვებულ მდგომარეობის გამო უმაღლესი სიტყვები, აქ გამეფებულ აზრით, ზედმოქმედებას იქონიებენ შორს რუსეთის საზღვრებ გარეთაც.

**მალტა.** კიჩენერი აქ მოვიდა და დაუყოვნებლივ გიბრალტარს გაემგზავრა.

**ლორენცო-მარკეზი.** 6 დეკემბერი. ინგლისის იმ ქვეშევრდომთ პრეტორიაში, რომელთაც შემდეგშიაც სურთ ქალაქში დარჩენა, 8 დეკემბრიდგან ამისათვის ნება რთვა უნდა აიღონ მთავრობისაგან.

**კალკუტა.** გარდაწყვეტილია გაიგზავნოს სამხრეთ აფრიკაში მე-15 ულანთა რაზმი.

# განცხადებანი

ქალაქ თელავში

## ისყიდება

იაფად სახლი, ბაღი და სახნავი მიწა. მსურველთ უნდა მიჰმართონ სამთო ინჟინერს იონშერს: თელავი, საკუთარი სახლი. (3—205—1)

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო** მით აცხადებს, რომ იჯარით უნდა გასცეს სამრეწველო გზათა შეკეთება შავის ქვის მადნებსა და ს. ჭიათურას შუა. ვისაც ჰსურს ამ გზების შეკეთება იჯარით აიღოს, შეუძლიან საბჭოს სადგომში, ქუთაისში, გაიცნოს ყოველივე წვრილმანი ამ საქმისა და აგრეთვე თავისი პირობა წერილობით წარუდგინოს საბჭოს.

(3—6.—2)

## ქალაქის გამგეობა

**ამითი აცხადებს საყოველთაოდ**, რომ ამა 23 დეკემბერს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მის სადგომში **ვაჭრობა მოხდება** ქალაქის ორმოც-და-ათ განცხადებათა ბოძის განცხადებათა გაკვრის უფლების იჯარით გასაცემად.

პირობათა შეტყობა და გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში ისყიდება

შემდეგი წიგნები:

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავის 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 к.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

Древній Анчисхатскій соборъ П. Карбелова—20 კ.

გრამატიკა თ. ჟორდანიასი—55 კ.

Новая постановка педагог. дѣла въ учеб. завѣд. И. Ростомова. 20 კ.

საგალობელნი შობის დღესასწაულისა—25 კ.

საერო დღესასწაული—25 კ.

ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია 1, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისი-თარგმანი 30.

სა-პოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი"

გამოვა 1900 წლისაც უკვე კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდე იმავე პროგრამით, როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდგან „კვალს" მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში" (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის" რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ".

(4—6.—1)

# ბალანსი სამეურნეო ბანკისა

1 დეკემბრისათვის 1899 წლისა.

აქტივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 15888 | 06 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ." საბანკო კანტორაში . . . . . . . . . . | 2110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 4602 | 95 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . . | 3121 | 38 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი . . . . . . . . . . . . | 232118 | — |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | 1230 | 57 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 375 | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 7735—62 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 40562— — | | |
| გ) საქონელზედ . . . . . . 30009—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3802—13 | 82109 | 25 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | 171 | 87 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . | 1850 | 32 |
| XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | 1742 | 49 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 204 | 41 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 286 | 95 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . | 1758 | 45 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | 10212 | 44 |
| ს ულ | 359532 | 14 |

პასსივი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 766 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . . | 79791 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა . . . . . . . . . . . | 72 | 50 |
| IV. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 79670—59 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . 156592— — | 236262 | 59 |
| გ) უვადოდ . . . . . . . . . „ — — | | |
| V. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2741 | 43 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . | 375 | 42 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . | 57 | 74 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . . . | 300 | — |
| IX. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერც. ბანკში, უზრუნ.-ყოფ. %-იან ქაღალდ. | 17000 | — |
| X. მიღებული სარგებელი. . . . . . . . . | 18118 | 41 |
| XI. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 1631 | 18 |
| XII. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი. | 40 | 71 |
| ს უ ლ | 359532 | 14 |
| პასუხის-მგებლობა 766 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | 718119 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . | 5900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . | 1318 | 40 |

(1—6.—1)